# სამშობლო

წ. I 1915 წ.

ხუთშაბათი 5 მარტი

№ 27 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 27



ეროვნული ბიბლიოთეკა



**ფასი**: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ც ა ლ კ ე ნ უ მ ე რ ი ე ჯ ღ ე ბ ა ი შ ა უ რ ი. **დამატებით 7 კაპ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. **განცხადების ფასი**: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტის წინ 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.


„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილის ძმობილო, მირჩევნის თრსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.


## ქუთაისის ქალაქის თეატრში

დღეს, ხუთშაბათს, 5 მარტს, **კიტა აბაშიძის** მონაწილეობით გაიმართება

## გრიშაშვილის საღამო

ხუთ განყოფილებათ.

I. **დიტო უზნაძე** წაიკითხავს **ხელოვნური შემოქმედების რაობა.**

II. აკაკის პოემიდან „**თორნიკე ერისთავი**“ ცოცხალ სურათებად (3 სურათი) დასდგამს: კოწო ანდრონიკაშვილი.

III. **ჩიტო შარაშიძე** წაიკითხავს: „**ჩვენი მოზარდი თაობა**“

IV. ქართველ მსახ. ამხ. მიერ წარმოდგენილი იქნება: ვალ. გუნიას ერთ მოქმედ. მხიარული კომედ. **ადვოკატთან** ანუ „**ჩემი ცოლი ხომ არ გინახავთ**“

V. **დიდი სალიტერატ. განყოფილება** აკაკი ფილევა წაიკით. ჯ. ჯორჯიკიას ახალ მოთხრობას, პ. იაშვილი წაიკ. ბალმონტის ჩ საკუთარ ლექს. შ. დადიანი—სადღესო პატარა ფელეტონებს კ. ჭიჭინაძე—საკუთ. ლექსს. გრ. ლალიძე ესკიზს, ვ. ბალანჩივაძე—იმერულ სცენებს, ი. გრიშაშვილი—ჯერ დაუბეჭდავ ახალ ლექს.: „ზღაპარი გამაკში“. დასასრულ სიტყვას წარმოსთქვამს კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები ამთავითვე ისყიდება მხოლოდ თეატრის კასაში. ადმინისტრ. გ. ურუშაძე.



**ქვრივი ეკატერინე ვასილის ასული კვიცარიძისა, ირინე კვიცარიძისა, სიმონ პავლეს ძე და ელენე პავლეს ასული მუმლაძისა** აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი თავის საყვარელი ქმრისა, მეორე—შვილისა, მესამე და მეოთხე—ძმის ნიდვორნი სოვეტნიკის

### ექვთიმე პავლეს ძის კვიცარიძის

გარდაცვალების შემდეგ ორმოცი დღის შესრულებას და სთხოვენ წირვაზე და პანაშვიდზე დასწრებას, რომელიც გადახდილ იქნება წმინდა გიორგის ეკლესიაზე, სოფ. ოფურჩხეთში.

1—1—86



ტიმოთე, ათანასე, ივანე და თედორე პეტრეს ძენი კავტიევსკები; მარიამ, ზინოვია, ვერა, მატრონა და ანა კავტიევსკებისა; ქსენია, ეკატერინა, ნასტია, ალექსანდრე, ანასტასია, გრიგოლი, ვალერიანე, პეტრე, მარიამ, ვასილ, ქეთევან, ევგენია, გიორგი და იულია კავტიევსკები გულითადის მწუხარებით გაუწყებენ რა გარდაცვალებასა, პირველნი უძვირფასესის დედისა, მეორენი დაუვიწყარის დედამთილისას და უკანასკნელნი საყვარელი ბებიისას

**ეკატერინე მახაროვბელ წიქორიძის ასულის**

### კ ა ვ ტ ი ე ვ ს კ ი ს ა ს,

გთხოვენ უმორჩილესათ მობრძანდეთ და დაესწროთ მიცვალებულის გასვენებას ამა მარტის თვის 6 რიცხვს, დღით პარასკევს, ნაშუადღევის 4 საათზე, მესხეთის ქუჩაზე, საკუთარ სახლში და თქვენის მობრძანებით ნუგეში სცეთ უზომოთ დამწუხრებულ ჭირისუფალთ.



**დაკლებულ ფასებში.** **დაკლებულ ფასებში.**

## ქალაქის თეატრი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ შაბათს, 7 მარტს, **მად. ფალიაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მეორეჯერ ორიგინალური პიესა **დავით კლდიაშვილისა.**

1. **უბედურება** ტრაგედია ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან, 1 სურათად.

2. **ეგ. ნინოშვილის** მოთხრობიდან გადმოკეთებული **ქრისტინე** ოთხ მოქმედ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე** რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. **ადგილების ფასი ჩვეულებრივია**



**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

### კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის**: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული კარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— **კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ** — თ.



დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ **ნ. ს. ჯორჯიკიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права“

Проф. Л. І. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.



## ელექტრო-თეატრი რადიუმი.

**დღეიდან, 5 მარტიდან ნაჩვენები იქნება ორი შესანიშნავი სურათი**

I.

### საბედისწერო ქალი

ვერა ხოლოდ. მძიმე დრამა 3 მოქმ. თანამედროვე ცხოვრებიდან. გამოჩენილი მსახიობის ქალის ჩერნოვას და მსახიობის მიჩურინის მონაწილეობით.

II.

### კოპწია ქალი

მხიარული კომედია—ფარსი 3 ნაწ.

1. ცალკე კუპეში;
2. ხიფათიანი ღამე
3. ბედნიერი ბოლო.

III.

### პატე ჟურნალი



ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

### ძმათა პასხალიდის

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში **ნიკიფორე მ. ჯანელიძის** მაღაზიაში; **ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის** კანტორაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.



**კბილის მენადარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა.** დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.



**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.



**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)



**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.


## პ რ ე ს ა.

**აკაკი და ზეპირი სიტყვიერება.**

ქართველი ერის დიდებულმა შვილმა, პოეზიის ქურუმმა და ოქროპირმა აკაკიმ მთელი სიცოცხლე სამშობლოს ემსახურა და სურდა სიკვდილითაც მისი ერისათვის სარგებლობა მოეტანა. მისი სურვილი იყო შეგროვება ხალხში გაფანტულ მარგალიტებისა—ზეპირ სიტყვაობის შეგროვება და შემუშავება. ამას მოწმობს მისი ანდერძი: „არ მინდა არც გვირგვინი, არც სიტყვა, არც ცერემონიაო. გვირგვინების მაგიერ სახალხო სიტყვიერების ფონდი შეადგინეთო“. ამას ვრცელ წერილს უძღვნის ჩვენი პატივცემული არქეოლოგი ე. თაყაიშვილი „სახ. ფურ.“ 225 №-ში. იგი ამბობს:

„აკაკის ენა! ეს ის ენა არის, რომლის ყველას ეშინოდა და იმავე დროს ყველას უყვარდა! ეს ის ენა არის, რომელიც ყოველთვის გულს მოგხვდება ხოლმე და საუკეთესო გრძნობებს აგვიშლის; ეს ის ენაა, რომელიც ყოველთვის აღვაფრთოვანებს, ეს ის ენაა, რომელიც ყველას ერთგვარად ესმის, დიდს და პატარას, გლეხს და მუშას, განათლებულსა და გაუნათლებელს. ეს ენა განსპეტაკებული ხალხური პოეზიის ენაა, ხალხური პოეზიის შვილია, მისებრივ სუბუქია, ხან ნაზია, ხან ჯადოქარია, მაგრამ ყოველთვის საყვარელია, ყოველთვის მომხიბლავია. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, აკაკის რომ დედის ძუძუსთან ხალხური ჰანგები არ შეეთვისებია, ხალხური ზღაპრები, ლექსები და არაკები არ ჩანერგოდა გულში, აკაკი ჩვენთვის „აკაკი“ აღარ იქნებოდა, ქართული პოეზიის ქურუმად და ქართულის ენის მეფედ ვერ გახდებოდა. ჩვენთვის სულ ერთია, ხალხურმა პოეზიამ შეიპყრა და მოხიბლა აკაკი, თუ აკაკიმ შეიპყრო და შეითვისა ხალხური პოეზია, მაგრამ ცხადია, ესენი ერთმანეთში გაითქვიფენ და საუცხოვო რამ წარმოშვეს, აკაკის პოეზია და ენა შექმნეს.

ქართული ხალხური სიტყვიერება დაუშრეტელი ზღვა არის, რომელიც კოვზით არ ამოიწურება. ამ ზღვაში ათასი აკაკისებური პოეტის წარმოშობია გაღვსილი, მთელი ქართველი ერის ისტორიაა შერთული. მასში იხატება ჩვენი ხალხის სიბრძნე, გონების სიმკვირცხლე, მსოფლიო თვალსაზრისი, მისი სულისკვეთება, სიმღერა-გალობა, გლოვა-გოდება, ზნე-ჩვეულება და შემოქმედებითი ნიჭი. ეჭვს გარეშეა, სახალხო პოეზიამ იქონია დიდი გავლენა საუკეთესო ჩვენს მგოსნებზე.

პატივცემულ ავტორს მოჰყავს მრავალი ნიმუშები ხალხურ ზეპირსიტყვაობისა და განაგრძობს:

არავის ისე კარგად არ ესმოდა ჩვენში სახალხო სიტყვიერების მნიშვნელობა, როგორც აკაკის. ის გრძნობდა თავის შემოქმედების ძირითად კავშირს სახალხო პოეზიასთან და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე საფუძველი ჩაეყარა ხალხური სიტყვიერების შეკრებისათვის, ამ მიზნით „კრებულიც“ დაარსა 1897 წელს და პირველ ნომერში ამ კრებულისა მშვენივრად განმარტა მნიშვნელობა ზეპირსიტყვაობისა.

თუ ჩვენ წრფელის გულით ვგლოვობთ აკაკის, თუ ჩვენ მართლა ვსცემთ პატივს წარჩინებულის მამულიშვილის ხსოვნას, მართლა გვაქვს გულში მისი სიყვარული, მისი ანდერძი უნდა უპათუოდ შევასრულოთ. ამ თავითვე, ამ ცხელს გულზე, ყველამ გამოვიღოთ შეძლებისამებრ წვლილი მისი ფონდისათვის, ყველამ მივიღოთ მონაწილეობა ამ ფონდის შედგენაში, მდიდარმა და ღარიბმა ერმა და ბერმა, მუშამ და მოხელემ. ნუ დარჩება საქართველოში ნურც ერთი შეგნებული ქართველი, რომელმაც არ მიიღოს მონაწილეობა დიდებულის მგოსნის სურვილის განხორციელებაში! დაე, ეს შეწირულება ღარიბ-ღატაკის მიერ ერთი კაპეიკი იყოს, მუშისგან ერთი შაური წრფელის გულით მოძღვნილი, ესეც დიდად შეიწირების. თუ სიცოცხლეში ვერ ავუსრულეთ სურვილი ჩვენს სათაყვანებელს მგოსანს, ეხლა მაინც ავასრულოთ თხოვნა, დავუმტკიცოთ პატივისცემა საქმით, რეალურად, და არა ცარიელის სიტყვებით. ღმერთმა ქნას, დიდებულის მგოსნის გარდაცვალებამ ახალი ხანა შექმნას ჩვენში, მკვიდრი ერთობა დაამყაროს, საქმიანობა შეგვმატოს; იესო ქრისტესადმი სიყვარულმა ძმურის სიყვარულით შეაერთა სხვადასხვა ტომის ხალხი და კაცობრიობას ახალი გზა უჩვენა. დაე, აკაკის სიყვარულმა ჩვენც მჭიდროთ დაგვაკავშიროს ერთმანეთს, ჩვენი ძველი ზნე და სენი უკუგვაგდებინოს! რა არის ჩვენი ქართველების ძველი ზნე და სენი ხომ მოგეხსენებათ?—ერთმანეთის ჭამა, პტყელპტყელი ლაპარაკი და წყალ-წყალა საქმე. დროა მიზნად დავისახოთ ერთმანეთის ნდობა, დიდ-დიდი საქმე და ნაკლები ლაპარაკი.“

აკაკის სიკვდილშიაც კი ვუყვარვართ!.. ნება არა გვაქვს მისი სურვილი არ შევასრულოთ!

# დღეს რა მოხდა.

**რუსეთ გერმანიის ასპარეზი.**

ნემანის ორივე ნაპირზე რუსის ჯარის შეტევები მარჯვეთ სწარმოებს.

პრასნიშის ჩრდილოეთით კერძო შეტაკებები ხდება.

ვისლის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა საარტილერიო ბრძოლა გააძლიერეს.

კარპატებში რუსის ჯარმა ბრძოლით აიღო ავსტრიელების პოზიციები.

იარლის ქარხნის მიდამოებში მტერი იერიშებს განაგრძობს.

აღმოსავლეთ გალიციაში ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს.

პერემიშლესთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

პერემიშლედან სამხრეთის ფრონტზე რუსის ჯარმა მაღლობები დაიჭირა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

ნუვრონის ჩრდილო - აღმოსავლეთით გერმანელების ორი როტა დაატყვევეს.

მენილის ჩრდილო - აღმოსავლეთით ფრანგებმა პოზიციები გააფართოვეს.

ლეპრეტის ტყეში გერმანელებმა წინ წაწეული თხრილები ნაღმებით ააფეთქეს და თხრილების $^{2}/_{3}$ დაიკავეს.

გერმანელები თავს იყრიან იზერთან.

გერმანის გემი „დრეზდენი“ ინგლისის გემებმა დაღუპეს.

**დარდანელთან.**

დარდანელზე ყუმბარების დაშენით სმირნის გარშემო სოფლები განადგურებულია.

## პირველ-დაწყების სახალხო განათლება ქუთაისის გუბერნიაში

ამჟამათ ქუთაისის გუბერნიის შვიდ მაზრაში არსებობს სულ ექვსას სამოცდა თორმეტი სამინისტრო და სამრევლო სასწავლებელი.

| | სამინისტრო სკოლ. | სამრევლო სკოლ. |
|---|---|---|
| ზუგდიდის მაზრაში | 52 | 45 |
| ქუთაისის „ | 82 | 81 |
| ლეჩხუმის „ | 32 | 31 |
| ოზურგეთის „ | 85 | 50 |
| რაჭის „ | 44 | 28 |
| სენაკის „ | 51 | 56 |
| შორაპნის „ | 66 | 55 |
| სულ | 416 | 346 |

ამ შვიდ მაზრაში გამოანგარიშებით ითვლება 96,707 ბავში, რვა წლიდან თერთმეტ წლამდი. ამ რიცხვიდან სწავლაში უკვე ჩაბმულია, ე. ი. სკოლაში იმყოფება 61,724, რაც შეადგენს ორ მესამედზე მეტს მთელი ბავშების რიცხვისას. დანარჩენი ერთი მესამედი ოცდა თოთხმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდა სამი (34983) ბავში დარჩენილია სკოლის გარეთ, უმეტესადკი რაჭისა, ლეჩხუმისა და შორაპნის მაზრებში

რამდენ ფულს ხარჯავს სახელმწიფო ხაზინა ზემოაღნიშნულ სკოლებზე?

სამწუხაროთ, ამ კითხვის პასუხად ჩვენ გვაქვს ცნობები მხოლოდ **სამინისტრო** სასწავლებლის შესახებ. აი ეს ცნობები:

სასოფლო სკოლების შენახვაზე წლიურად ხაზინა ხარჯავს:

| | | |
|---|---|---|
| ზუგდიდის მაზრაში | 52,570 | მანათს, |
| ქუთაისის „ | 91,935 | „ |
| ლეჩხუმის „ | 27,420 | „ |
| ოზურგეთის „ | 87,120 | „ |
| რაჭის „ | 40,830 | „ |
| სენაკის „ | 54,200 | „ |
| შორაპნის „ | 53,250 | „ |
| სულ | 407,325 | მან. |

საშუალოთ, თვითეულ სამინისტრო სკოლაზე იხარჯება 981 მან. და 50 კაპ. ხოლო თითოეულ მოსწავლე ბავშის აღზრდა ხაზინას უჯდება 10 მან. და 20 კაპ.

სკოლების შენახვის ხარჯი მაზრებში რამოდენიმეთ განსხვავდება: მაგალითად, თითო სასწავლებელი უფრო მეტად ღირს ქუთაისის მაზრაში (საშუალოდ 1081 მან, და 60 კაპ.), რადგანაც ეს სკოლები გადიდებულია მასწავლებლების რიცხვით (ორიდან ხუთამდე). ნაკლები იხარჯება შორაპნის მაზრის სკოლებზე (საშუალოდ 806 მან. და 80 კაპ.)

საყოველთაო სწავლის დაწესებისთვის ადგილობრივ სამოსწავლო მთავრობას (დირექციას) შემუშავებული აქვს გეგმა, რომ ათი წლის განმავლობაში გააფართოვოს აწ არსებული სკოლები და ახლად გახსნას:

| | | |
|---|---|---|
| ზუგდიდის მაზრაში | 61 | სკოლა, |
| ქუთაისის „ | 74 | „ |
| ლეჩხუმის „ | 27 | „ |
| ოზურგეთის „ | 27 | „ |
| რაჭის „ | 22 | „ |
| სენაკის „ | 52 | „ |
| შორაპნის „ | 101 | „ |
| სულ | 364 | ახალი სკ. |

ამ გეგმის თანახმად, ათი წლის შემდეგ ქუთაისის დირექციის მხვედველობის ქვეშ იქნება 780 სკოლა, რომლების შენახვის ხარჯთაღრიცხვა მიაღწევს თითქმის მილიონ მანეთამდე (983103 მან.) ხაზინიდან წლობით, და ყოველი სასკოლო ასაკის ბავში უზრუნველყოფილი იქნება დასაწყისი სწავლა-განათლების მიღების მხრივ.

ე. ფ—შვილი.

## მცირე შენიშვნა ერთ საყურადღებო წერილზე.

მიუხედავათ სკოლების სიმრავლისა, მიუხედავათ წარმოდგენების გამართვის გახშირებისა და, მიუხედავად სამკითხველოების გამრავლებისა, ჩვენი სოფელი მაინც ჩარჩების ხელშია და მისი ეკონომიური მდგომარეობა მაინც უნუგეშო და სავალალოა. ჩარჩებისა და სხვა ამგვარ პარაზიტებისაგან ვერ დაიხსნა სოფელი ვერც საკრედიტო და ვერც სხვა კოოპერატიულმა საზოგადოებებმა, რომელნიც ძალიან მომრავლდენ ჩვენში ამ უკანასკნელ ხანებში. და ეს ხდება იმიტომ, რომ არავინ თავის საქმეს ისე არ ემსახურება, როგორც ამას თვით საქმის ვითარება მოითხოვს.

ვისაც რვა—ათი წელი დაუყვია სკოლაში და ვინც ამ ხნის განმავლობაში სკოლის გარეშე წრის გავლენის ქვეშ არ ყოფილა, ის ქართველებისათვის ურგები შვილია. მისი აზროვნება წმინდა „ჩინოვნიკურია“, მოქმედება გაიძვერული და სულ იმისცდაშია, სამსახურში წინ წავიდეს და აგრეთწოდებულ „საზოგადოებაში“ საპატიო სახელი დაიმსახუროს. სახელის დამსახურებისთვის დიდი შრომა არ არის საჭირო, საკმაოა საპატიო თანამდებობა გეჭიროს და ორი-სამი პრტყელი სიტყვა საზოგადო საქმეზე სთქვა.

საერთოდ ნამდვილი საქმიანობა, საქმისადმი გულწრფელი სიყვარული, საქმით გატაცება და ცხოველი მუშაობა არც ერთ დაწესებულებაში არ არის. ფორმალურათ ქართველ ერს არაფერი არ აკლია, ყველაფერი აქვს, მაგრამ ამ ყველაფერს რომ კარგათ კბილი გაუსინჯო დარწმუნდები, რომ ბევრი რამ აკლია. აკლია გულწრფელი მოღვაწეები, საქმით გატაცება და ძლიერი შემოქმედებითი მუშაობის უნარი.

დროა თავის მოტყუილებას თავი დავანებოთ, საზოგადო საქმეს ერთგულათ მოვეკიდოთ, ნამდვილი მუშაობა გავაჩაღოთ და კულტურულ დაწესებულებებიდან კარიერისტები გავდევნოთ, რომლებიც მოსულან აქ იმის გამო, რომ სახელი გაითქვან და არა საქმე აკეთონ. ყველგან და ყველაფერში საკუთარი მოსაზრების შეტანაა საჭირო, ახალი გზის გაკაფვა და არა გატკეპნილ გზაზე ბრმათ სიარული. ამ გზაზე სიარული, მართალია, ადვილია და ამ გზაზე სიარულით სახელის მოხვეჭაც იოლია, მაგრამ სახელს ნუ გავეკიდებით, საქმე გავაკეთოთ და ხალხს, რომელსაც წამდაუწუმ ვახსენებთ საქმით მივეშველოთ.

სასოფლო სამეურნეო და დაწყებითი პედაგოგიურ ნიადაგზე დაყენებული სკოლები, გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები, მეურნეობის შესახებ ელემენტარული ცოდნა; აი რა სჭირია ხალხს. მივაწოდოთ გლეხს იმის ცოდნა თუ როგორ მოუაროს ყანას, როგორ მოაშენოს საქონელი, დაამუშაოს მიწა, როგორ ისარგებლოს მის სოფელში არსებულ საკრედიტო დაწესებულებით, როგორ გააშენოს კულტურული მცენარეულობა და როგორ მოაწყოს ცხოვრება ისე, რომ არ იძარცვებოდეს ჩარჩ-მევახშეებისაგან და გაჭირვებაში სულს არ ღევდეს.

ერთი სიტყვით, საქმე ანაბანიდანაა და საწყები, ე. ი. საჭიროა ხალხში საღი შეგნების შეტანა და ეკონომიური მუშაობის გაჩაღება. ხალხი ფეხზე უნდა წამოვაყენოთ,—ეკონომიურათ წელში გავმართოთ და დავანახოთ და ან დავეხმაროთ მის მტერ-მოყვარეების გარჩევაში. უნდა გვწამდეს, რომ ხალხი საღი შეგნების პატრონი, ეკონომიურათ წელში გამართული ეროვნების საუკეთესო ბურჯი იქნება. საღი შეგნება და ეკონომიური სიმაგრე ქართველ ერს გაუსწორებს ყველ იმ ნაკლს, რაც დღეს აქვს.

ჩემი წერილის საგანს ერთობ დავცილდი და ახლა ისევ მას დავუბრუნდები. კალამი ხელში ამაღებია ლ. მგზავრის წერილმა კოოპერატიულ ამხანაგობის „ქართლის“ შესახებ. ამხანაგობას სიმპატიური განზრახვები დაბადებია გვპირდება,—„ორი კაცი მოვა თქვენთან ხილის ბაზრის შესახებ და დაეხმარეთო“.

ეს ამხანაგობა ჯერ-ჯერობით მაინც არა გავს სხვა კოოპერატიულ ამხანაგობებს, რომლებიც ჩვენში საკმაოა, მაგრამ რომლებიც უმოქმედობისა და მისგან გამოწვეულ უსახსრობის გამო სულს ღაფავენ. თვალს ცოტ[illegible] გატკეპნილ გზაზე სიარულს[illegible] თავს ვანებებთ და ნამდვილ მუშაობას ვიწყებთ. პირველი ამის ნიშანი—„ქართლის“ ამხანაგობა და მასში გაჩაღებული მუშაობაა. ვუსურვებთ რომ დაწყებული მუშაობა ბოლომდის განეგრძოსთ და ენერგია—თვითმოქმედება ამ საქმის ინიციატორთ არ მოკლებოდესთ მაშინაც კი, როდესაც საზოგადოების წინ დიდი დაბრკოლება აღემართება. შეუდრეკელი ენერგია, ნამდვილი სიყვარული, საქმით გატაცება აი რა სჭირია ასეთ საზოგადოებებს.

ხილით მდიდარია დასავლეთ საქართველოც. ყოველ წელს აქიდან ჩარჩებს დიდძალი ხილი გააქვთ. დასავლეთ საქართველოში თითქმის ყოველი გლეხის ეზო, მოშენებული ბაღია, სადაც დიდძალი ხილი მოდის. დასავლეთ საქართველო, თუმცა მოკლებულია ხილის სპეციალურ ბაღებს, მაინც მდიდარია ხილით. სამტრედიიდან რკინის გზით ბათომსა და სხვაგან იზიდება, რამდენიმე ათასი ფუთი ხილი: სხალი, ვაშლი, თხილი, წაბლი, ქლიავი, კორკიმელი, ხურმა და სხ.

ამხანაგობა რომ „ქართლის“ განყოფილებას გახსნიდეს დასავლეთ საქართველოში უმჯობესი იქნება, ვინემ ორი კაცის გამოგზავნა, რადგანაც აქ ასეთი საზოგადოების მოთხოვნილება დიდია. როგორ შეუძლია ორ პირს მოაგვაროს ისეთი დიდი საქმე როგორიც არის დასავლეთ საქართველოს ხილის ბაზრის მოპოვება.

ყოველ შემთხვევაში ამ ორ პირს მივუთითებ შემდეგ გარემოებაზე: ლეჩხუმში დიდძალი ვაშლის მოსავალი იცის, რომელიც ღირსებით სხვადასხვა ნაირია. ვაშლი უმთავრესათ შემოაქვთ ხონში და ყიდიან არა წონით, არამედ თვლით. ამის შემოტანა იციან ეკენისთვიდან დაწყებული თითქმის აღდგომამდის, ყოველ ხუთშაბათობით. იგი ნამეტურ ეკენისთვეში ძალიან იაფია. ყიდიან ასს 50—60 კაპიკათ და კიდევ უფრო იაფათაც. ასი ვაშლი კი წონით ხშირათ 30 გირვანქა მოდის. ესე იგი გირვანქა იყიდება $1^{1}/_{2}$—2 კაპიკათ მაშინ, როდესაც ქუთაისში ესევე ვაშლის ფასი გირვანქა ორი-სამი შაურია. ლეჩხუმლებს, გარდა ხონისა, ეს ხილი ალბად სხვაგანაც გააქვთ და იქაც ასე ყიდიან. ამ გარემოებას აუცილებლად უნდა მიაქციოს ხსენებულმა პირებმა ყურადღება.

# დათიკო.

(ესკიზი).

(გაგრძელება იხილე „სამშობლოს“ 26 №-ში).

ბევრი „ექსტრა“ დაილია მის სადღეგრძელოთ. ვაჟები ერთმანეთს თვალებს უპაჭუნებდენ და ამბობდენ:

— კაცო, такой человѣкъ понадобится намъ; видите, какъ пьетъ?! — არც ქალიშვილები სტოვებდენ დათიკოს უყურადღებოთ.

— Замѣтно, что онъ отчаянный ухажоръ! — ამბობდენ ისინი.

როცა დათიკო საკმაოდ შეღვინიანდა, მან სიტყვის თქმა მოისურვა.

— Тамада проситъ!

— Г.г., слушайте тамаду!

— Да здравствуетъ Датико! გაიძახოდენ ყოველ მხრით შეღვინიანებული ყმაწვილები. დათიკომ დაიწყო:

— ბ—ბო! მე თქვენ ვეღარ მიცნობთ... მე... მე ისა ვარ, რასაც მხედავთ... у меня чистое сердце... მე თქვენ არ ჩამოგრჩებით и кромѣ того, მე ტრაბახობით არ ვიტყვი... я... я не бѣденъ, я богатъ, а потому... მას კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ უკვე შექეიფებულმა ახალგაზდებმა თავი ვერ შეიკავეს, მორთეს ვაშას ძახილი და „მრავალ ჟამიერიც“ იმღერეს. ფიდო წამოდგა, მივიდა დათიკოსთან და მას ოთხჯერ აკოცა; დათიკომ ყანწები მოითხოვა და მასთან ხელდახელ გამოცალა. ზოგიერთი ქალიშვილებიც კი მივიდენ დათიკოსთან, ხელი ჩამოართვეს და უთხრეს:

— Мы тоже съ удовольствіемъ поцѣловали бы Васъ, но разъ мы дѣвочки, ეს ჩვენთვის სირცხვილი იქნება...

დათიკომ მათ ხელებზე აკოცა და დაბნეული „კომპლიმენტებით“ გაუმასპინძლდა.

— სამოთხეში მოვხვედრვარ! — გაიფიქრა დათიკომ და გატაცებით განაგრძობდა ის მათთან ბაასს, მაგრამ ამ დროს ხმები მოესმა:

— Г. тамада! это Ваша слабость, რომ სუფრიდან დგებიან! — დათიკოც დატრიალდა.

— ბ—ბო! მე მგონია, რომ თქვენ... ჯერ თქვენ ღვინო არ მოგრევიათ... ყოველ შემთხვევაში მე ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ჯერ სულ არაფერი დამელიოს! — იცრუა დათიკომ და ყველას დაჯდომა სთხოვა.

მაგრამ რადგანაც უმეტესობას ღვინო ეროდა, სიმშვიდის დამყარება შეუძლებელი შეიქნა და ბოლოს ნელნელა დაიშალნენ.

— —

სულ ერთი კვირის შემდეგ, ახალ გაცნობილ ამხანაგების წყალობით, დათიკომ აურაცხელი ხალხი გაიცნო. თვითონაც გათამამდა. მის ახლოს უცნობი ქალიშვილი ისე ვერ გაივლიდა, რომ დათიკოს მაზე ათასნაირი საარშიყო სიტყვები არ მიეყარა. მალე მან №-ელ ქალიშვილებში სახელიც კი გაითქვა.

— ვისაც თვალებში ჩახედავს, ჩაიწვავს!

— რა მოხდენილი თვალის დაპაჭუნება იცის?!

— მისი მიხვრა-მოხვრა ერთ კაცად ღირს!

— იმისთანა არშიყი ძვირად თუ მოიპოვება სადმე! — ასე იძ(ე)ნიებდენ დათიკოს №-ელი ქალები ჩამოსვლიდან ერთი თვის შემდეგ. დათიკო ერთ-ერთ საუკეთესო ქუჩაზე მეორე სართულში მცხოვრებ მდიდარ ოჯახში დადგა.

— როგორც მისი ქცევიდან სჩანს, მართლაც მდიდარი კაცის შვილი უნდა იყოს, — ლაპარაკობდენ მისი ნაცნობები.

ჩამოსვლისთანავე მას უნდოდა კერძო ვისმე სამაცადინოთ მიბარებოდა, მაგრამ მასწავლებელმა ფული წინდაწინვე მოსთხოვეს; მან კი სახლიდან ჩამოტანილ ცხრა თუმნიდან ოცდახუთი მანეთის გარ და ამხანაგებში გაფლანგა.

— არაფერია, ერთ თვეს მოვიცდი და მერე გაურიგდები ვისმე. მაშინ კი ენერგიულად მოვკიდებ ხელს მაცადინობას! — იფიქრა დათიკომ. ეს იყო ჩამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ.

მეორე დღეს მან მამას მისწერა, რომ გამოცდილ მასწავლებელს გაურიგდი, სამი წლის განმავლობაში, როგორც ის შემპირდა, ან გიმნაზიაში შევძლებ ეგზამენის ჩაბარებას და ან სხვაგან; შემდეგ სამსახურში დავდგები და საქმეც გამოწყვება. „გამოტნეული ფული ერთ თვეს მეყოფა; მასწავლებელს თვეში 25 მანეთად გავერიგე, ხოლო დიასახლისს კი ოც მანეთადაო, — სწერდა იგი მამას.

— —

დათიკო დაღვრემილი იჯდა ფანჯრის წინ და ქუჩისაკენ გაიყურებოდა.

— Датико, გამარჯობა! Здравствуйте! Какъ поживайте?

— დათიკოს ვახლავარ! кажется Вы скучаете! — ამოსძახებდენ ხოლმე მას ნაცნობი ქალიშვილები, მაგრამ ის უხალისოდ უპასუხებდა.

ორი წელიწადი სრულდება, რაც ის ქ. №-ში ცხოვრობს. მას აქ თითქმის ბავშვებიც კი იცნობდენ.

მაგრამ მასში ამ წუთებში ყველაფერი ზიზღს იწვევდა ქ. №-ში.

— ახლა ოდაზე მიდგა ჯერიო, — მწერს მამა... ყველაფერი გაჰყიდა, მე მომახმარა და მე... მე ვისარგებლე მისი გულკეთილობით... ოჰ, ღმერთო ჩემო! რა გამოურკვეველი მომავლის მოლოდინში ვიმყოფები?... რით გათავდება ყველა ეს? — ასეთ თავბრუ დამსხმელ ფიქრებს გაეტაცნა იგი.

— აგერ ოთხი თვეა გვარიანად ვმაცადინობ, კიდევ ორი თვე დამირჩა; აწ მთლად დავაკვდები გაკვეთილებს... იქნება აფთიაქის მოწაფეობისათვის საკმარი მოწმობა მაინც ვიშოვო... ხალხი მოვატყუე, სიმწიფის მოწმობისათვის ვემზადები მეთქი... კიდევ შევთვლი სახლში ფულს, ის ოდაც გაჰყიდოს მამაჩემმა! ან უნდა დავიკარგო, ან და გავაკეთო აქმე! —

მეორე დღეს მამას მისწერა 80 მ. გამომიგზავნე, თორემ საქმე მიხთებაო.

მამამ ერთი კვირის შემდეგ გამოუგზავნა 80 მანათი და თან მისწერა:

„შვილო დათიკო! ოდა გავყიდე. ახლა მხოლოდ შენს საქმის გამოკეთებას შეუძლია ჩემი დანუგეშება და ჩვენი ოჯახის გამობრუნება... ეცადე!“

დათიკომ რამდენიმე ჯერ გადაიკითხა ეს მოკლე წერილი და თვალები აუცრემლდა, გული აუჩუყდა.

მან მხოლოდ სააღდგომოდ სახლში ყოფნისას შენიშნა, თუ რა მდგომარეობაში ჩაავდო მამა, დედა, დები...

— —

დასევდიანებულ დათიკოს ამხანაგების ხმა შემოესმა.

— ნეტა სძინავს, თუ სწავლობს ჩვენი დათიკო?

— კითხულობს კი არა ერთი შენც... მოგინახავს ბეჯითი მოწაფე!

— მე რომ ბეჯითი ვარ, ყველა ბეჯითი მგონია!

— ხა, ხა, ხა! რადა უშავს შენს პატრონს?!

ასეთი ოხუნჯობით შემოვიდენ დათიკოსთან ორი ამხანაგები.

დათიკო რომ მოწყენილი ნახეს და მისი ხელში წერილიც შენიშნეს, ერთხმად მიაძახეს:

— ვისგან არის ეს წერილი? отъ Marie, чтоли? отказываетъ да? ხა, ხა, ხა!

— Это навѣрное козни любви! აჰ, нашъ Байронъ, не нужно такъ скоро разочароваться! ხა, ხა, ხა!

დათიკო ხმას არ იღებდა.

— კაცო რამ მოგაწყინა მართლა? Въ чемъ дѣло?

შე ოხერო, ზოგი ჩვენი ამხანაგი ციხეშია, ზოგი სასწავლებლებიდან გამოაგდეს და შენ ისიც უნდა გიხაროდეს, რომ ასე თავისუფლად ხარ! ფიდო, გოგა და ვასო გიმნაზიიდან, გამორიცხეს მაგრამ სულ ქეიფობენ, ხომ ხედავ?

„დაარიგეს“ დათიკო მოსულმა ამხანაგებმა.

მართლა, დათიკო, ამ საღამოს ты приглашенъ на вечеръ! — უთხრა მას ერთმა და მიპატიჟების წერილი გადასცა.

— —

ივნისის პირველ რიცხვებში ნიკოს ოჯახს გლოვის ზარი მოედვა. დათიკოსაგან მშობლებმა შემდეგი შინაარსის წერილი მოუვიდათ:

„დედ-მამაო! მაპატიეთ, რომ სიცოცხლე მოგიწამლეთ — მე, უღირსმა შვილმა ღირსეულ მშობლებს, მაგრამ მთლად მე ნუ დამაბრალებთ... ჩემს დაღუპვაში წილი ჩემს ამხანაგებსაც უდევთ, მაგრამ მათაც ვაპატიებ, რადგანაც . . . . . . . . . .

მე ეგზამენი ვერ დავიჭირე... განა ღირს დღეიდან ჩემი სიცოცხლე? მშვიდობით... მე აწ თქვენ ვერ გიხილავთ და არც ვარ ღირსი თქვენი ხილვისა...

მთლად მე ნუ დამაბრალებთ თქვენი სიბერის ჩამწარებას... თქვენი უღირსი შვილი დათიკო“.

საბრალო ნიკო წერილის მიღებისთანავე გაეშურა №-ში, მაგრამ დათიკოს ვერ მიუსწრო: ის სადღაც უგზო-უკვლოდ გადაკარგულიყო.

დათიკოს №-დან გასვლა თვით დაახლოვებულ მის ამხანაგებსაც ვერ გაუგიათ.

არ. ფანცულაია.

ვსთქვი და კიდევ განვიმეორებ, რომ ასეთ საქმეს უკეთ მოაგვარებს განყოფილება, რომ მას საზოგადოება დააარსებდეს აქ.

გამოგზავნილ პირებს ამ საქმეზე შეუძლიათ ხონში პირადათ მე მომმართონ. ჩემს ადრესს „სამშობლოს" რედაქციაში გაიგებენ.

**გ. ხონელი.**

## პანაშვიდი ვ. გელოვანის სულის მოსახსენებლათ პეტროგრადში.

ბირჟევია „ვედომოსტში" დაბეჭდილია შემდეგი: უდროვოთ დაღუპულ ვ. გელოვანის სულის მოსახსენებლათ გუშინ ფერისცვალების ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი. უკანასკნელი პატივი სცეს განსვენებულ დეპუტატს და მის პანაშვიდზე მოვიდენ, როგორც მისი მეგობრები, ისე მოწინააღმდეგეებიც. ტაძარი გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეებით გაივსო. დამსწრე საზოგადოებამ შრომის ჯგუფის თავჯდომარეს კერენსკისა და ძიუბინსკის გელოვანის სიკვდილით გამოწვეულ დანაკლისის გამო თავის თანაგრძნობა განუცხადა. პანაშვიდს დაესწრო აგრეთვე პეტროგრადის ვექილთა წარმომადგენლებიც ლ. ბაზუნოვისა და ნ. სოკოლოვის ხელმძღვანელობით. ქართველიც ბევრი დაესწრო. პანაშვიდი გადიხადა სათათბიროს წევრმა მღვდელმა ანდრიანოვმა. მღვდელმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ განსვენებული დეპუტატი იყო ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი. ის ლაპარაკობდა მას, რაც ხალხისთვის საჭიროთ მიაჩნდა და თავის ცხოვრება მით დაასრულა, რომ თავისი სული სხვას ანაცვალა. სამშობლო უნდა ამაყობდეს ამგვარი პირებით, რომლებიც სიტყვითა და საქმით ერთნაირათ მოქმედებენო.

შრომის ჯგუფმა გელოვანის უდროვოთ დაღუპვის გამო სამძიმრის დეპეშები მიიღო სათათბიროს კადეტთა და სოც.-დემოკრატთა ფრაქციისაგან.

## ვარლამ გელოვანის ხსოვნას.

დაიღუპა გმირულად ვარლამ გელოვანი. დაიღუპა კაცთმოყვარეობისა და წმინდა მოვალეობის ასრულების დროს ვით იღუპებიან გმირნი ხალხის კეთილდღეობისთვის შობილნი.

დაიღუპა უდროოდ და მოულოდნელად საქართველოს პირველი დეპუტატი, ის, ვინც პირველმა მიიღო მისი ლამაზი, მაგრამ გაძვალტყავებული სახე, ვინც არ ითაკილა თავისი ვინაობა, ვინც ზურგი არ შეაქცია თავის სამშობლოს წარსულ ღირსებას და მომავლის იმედს, ვინც გაბედულად და თამამად წარსდგა უმაღლეს ტრიბუნაზე, და ტავრიდის სასახლეს გააგონა მკვნესარე ხმა იმ მკვნესარე ქვეყნისა, რომელმაც ის გაგზავნა.

ვარლამი იყო პირველი მერცხალი ახალგაზდა საქართველოისა, პირველი მერცხალი იმ გულწრფელ საქართველოისა, რომელსაც, წმინდა კაცობრიულ იდეალებით გასპეტაკებულს, სურს თავისი სახიერების დაცვა — შენარჩუნებაც.

ხანმოკლე იყო ვარლამის სიცოცხლე, მაგრამ ლამაზი, ვით მისი თვალტანადობა, უშიშარი და გაბედული იყო მისი ნაბიჯი, ვით მისი რაინდული შეხედულება, მაგრამ ბედმა ულმობელმა ქვეყნის დიად მსხვერპლთან ერთად იგიც წაიღო.

ჩაქრა მჭერმეტყველება ნათელი აზრისა, ჩამოეშვა შავი ზეწარი-შავისბედისა, დაცარიელდა ვარლამის ადგილი, მაგრამ არ დაცარიელდება საუნჯე, არ დაშრება წყარო, რომელმაც აამოძრავა ვარლამის კეთილ აზროვნება, არ გაქრება ის კვალი, რომელზეც ვარლამმა გადადგა პირველი ნაბიჯი.

... და როდესაც ქვეყანას მოეფინება ნათელი მზის სხივები, როდესაც აყვავდება დღეს დამჭკნარი ტურფა წალკოტი, მადლიერი სამშობლო თავის ღირსეულ შვილთა სიაში სიყვარულით მოიხსენიებს უდროოდ დაკარგულ ვარლამის სახელს.

**ჯაფარ—ფაშა.**

# ომი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 3 მარტი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან: **ნემანის მარცხენა ნაპირზე** კოპცოვიდან ჩვენ გავდევნეთ გერმანელების მოწინავე ჯარის ნაწილები. მდინარის ორივე ნაპირზე ჩვენი შეტევები წარმატებით სწარმოებს. სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა დაიკავა სოფლები ტეგნა და ედნოროჟეცი. ამავე დროს მოგერებულ იქნა გერმანელების თავგანწირული კონტრიერიში, რომლის დროსაც ხელში ჩავიგდეთ ერთი მძიმე და სამი სუბუქი ზარბაზანი, შვიდი ტყვიისმფქვეველი და 500-მდი ტყვე. პრასნიშის ჩრდილოეთით ჩვენს ჯარს მტერთან კერძო შეტაკებები უხდებოდა, მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა ჩვენს სიმაგრეებს ბზურზე გაძლიერებული არტილერიით ცეცხლი დაუშინა და შეეცადენ იერიშის მოტანას პილიცის რაიონში. კარპატებში, ეგოლნის რაიონში მიუხედავათ ქარბუქისა და მძლავრი ყინვისა, ჩვენი ჯარი წარმატებით განაგრძობდა იერიშის მიტანას მტერზე, რომლის დროსაც ხელში ჩავიგდეთ მტრის პოზიციები, 17 ტყვიისმფრქვეველი, ტყვეთ წამოვიყვანეთ 2400 ჯარისკაცი და 36 აფიცერი. ამ გამარჯვებით ვაიძულეთ მტერი ბოლიგროდის გზით რამდენიმე მანძილზე უკან დაეხია.

უჟოკის გზით, იაბლოკის ახლოს, ჩვენ აგრეთვე დავიჭირეთ მტრის თხრილები. იარლის ქარხნის რაიონში მტერი შეტევებს განაგრძობს. აღმოსავლეთ გალიციაში, რკინის გზის აღმოსავლეთით, ბრძოლა თანდათან ვითარდება. პირველი მარტის განთიადისას ჩვენმა ქვეითა ჯარმა, მიარღვევდა რა თოვლს მკერდამდი, დაიკავა მტრის სანგარები ტარჟ-ვიცის ახლოსა და ტყვეთ წამოიყვანა 2000 ჯარისკაცი, 10 აფიცერი. იხელთა 7 ტყვიისმტყორცნელი. პერემიშლესთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. სამხრეთით ფრონტზე ჩვენმა ჯარმა ბრძოლით მაღლობები აიღო.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 2 მარტი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ვასანას ახლოს ნიუვრონის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელების ორი როტა დავატყვევეთ, მასთან დიდი ზარალი მივაყენეთ. ჩვენ შამპანიაში ახალი წარმატება გვქონდა. სიმაღლესთან მტრის ორი კონტრიერიში მოვიგერიეთ. მენილის ჩრდილო-აღმოსავლეთით პოზიციები გავაფართოვეთ, ტყვეთ ბევრი წამოვიყვანეთ და ყუმბარების მტყორცნელებიც ვიხელთეთ. არგონის სიმაღლეზე ბრძოლას მეტის სიმამაცით ვაწარმოებდით. ბაგატელის რაიონში ჩვენ მტრის ორი კონტრიერიში მოვიგერიეთ, ბლოკგაუზი დავანგრიეთ, მისი ადგილმდებარეობა დავიჭირეთ და აქ გავმაგრდით. ფურდეპარისა და ბოლანტის შუა მტერი ცდილობდა ორი კონტრიერიში მოეხდინა, მაგრამ ყველა ცდამ, როგორც ამას წინათ, უნაყოფოთ ჩაიარა. ვოკუასთან ჩვენმა ქვეითა ჯარმა მტერზე იერიში მიიტანა, ამ სოფლის დასავლეთის მხარე დაიჭირა და მრავალი ტყვე წამოიყვანა. ლეპრეტის ტყეში, პონტამუსონის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელებმა ოთხი გამოწვეული თხრილი ნაღმებით ააფეთქეს და მთლათ დაანგრეს. აფეთქების შემდეგ მტერმა ეს თხრილები დაიჭირა. ამ თხრილების ორი მესამედი მტერს ისევ წავართვით. ლეპრეტის ტყესა და პონტამუსონის შუა მტერმა იერიში მოიტანა, რომელიც მოვიგერიეთ. 1 მარტს. საჰაერო მინისტრმა გენერალი მონური ინახულა, ესაუბრა მას, შემდეგ გენერალ ვილარესთან წავიდა და რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელით საპატიო ლეგიონის ჯარი ჩააბარა.

**ლონდონი.** 2 მარტი. ოფიციალურათ იტყობინებიან, ინგლისის კრეისერებმა: „გლაზგომ", „ორამამ" და „კენტმა" გერმანიის კრეისერს „დრეზდენს" ჰუანფერნანდესთან უხერხულ მდგომარეობაში მოასწრეს. ხუთი წუთის ბრძოლის შემდეგ „დრეზდენმა" ბაირაღი ჩამოუშვა და დაიწვა. „დრეზდენი ძალიან დაზიანდა და წამლის საწყობის აფეთქების შემდეგ იწოდა. „დრეზდენი" ჩაიძირა. ეკიპაჟი გადაარჩინეს. ინგლისელების მხრივ ზარალი არ არის.

**სტოკჰოლმი.** 3 მარტი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ 2 მარტიდან აკრძალულია გერმანიიდან ქვანახშირის გატანა. ეს დადგენილება შეეხება არა მარტო ქვასნახშირის გადატანას, არამედ ანტრაციტისა, კოკსისა და ხელოვნურ გასათბობ მასალის ტრანზიტსაც. მებატონეთა პალატამ უთათბიროთ მიიღო პრუსიის ბიუჯეტი.

**გაზ. „სამშობლოს" კანტორა** მოაგონებს თვიურ ხელისმომწერლებს, შემოიტანონ 10 მარტამდი ფული. ვინც ფულს არ შემოიტანს 10 მარტიდან გაზეთი არ გაეგზავნება.

**სტოკჰოლმი.** 3 მარტი. ადგილობრივი გაზეთები აღელვებულ არიან გემ „განას" ჩაძირვით და გაცხარებული მიზეზს არკვევენ. როგორც კაპიტანისა და პირველი შტურმანის გამოქვეყნებულ ლაპარაკიდან სჩანს ეს გემი წყალ ქვეშა მავალი ნავით გერმანელებმა გაუფრთხილებლათ და განზრახ ჩაძირეს. ეკიპაჟის გადარჩენაზეც კი არ იზრუნესო. ეკიპაჟი შემთხვევით გადარჩა, იგი ახლოს მოცურავე შვეციის გემმა გადაარჩინაო.

## სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### ქურთებისაგან ქრისტიანთ სოფლების აოხრება.

**ჯულფა.** 2 მარტი. როცა ჩვენმა რაზმმა დილმანი დაიჭირა, გამოირკვა შემდეგი მდგომარეობა: ამ პუნქტთან ქრისტიანების 20 სოფელია ოსმალებისაგან სულ მთლათ აოხრებული. დანგრეული ეკლესიები, შკოლები და სამკითხველოები ცარიელ კედლებსღა წარმოადგენენ. წმინდა ნაშთი ტალახშია ამოსვრილი, ზოგი დაგლეჯილია და ზოგიც ტყვიებით დაცხავებული. ზოგი ეკლესია ბოსლათ არის გადაქცეული, ზოგი ბეღლებათ და ზოგიც სხვა და სხვა ნივთის საწყობათ. სოფლები მოფენილია დახოცილთა გვამებით. სამი დღით ადრე, დილმაში ჩვენი ჯარის შესვლამდი, ყველაზე ძალიან სოფელი გესრტუვანი აუოხრებიათ. ამ სოფლის მთელი მამაკაცობა დახოცილია. ამ სოფელში ჭებიდან, ორმოებიდან და სარდაფებიდან 200 გვამია ამოკრეფილი და დამარხული საძმო სამარეში. დახოცილთ ჩვენი პოლკის მღვდელმა წესი შეუსრულა. სოფლის გასასუფთავებლათ მუშებია დაყენებული. გვამებს ზედ მხეცური ტანჯვა-წამების ნიშნები ეტყობა, განსაკუთრებით თურმე მათ ცულებითა და ხანჯლებით ხოცენ. ოსმალებს სურსათ-სანოვაგე ზოგი თან წაუღიათ და ზოგიც დაუწვავთ. დამწვარ შენობებში ფანჯრებისა და კარების ნასახიც კი აღარსად არის. ხოსროვში ჩვენი სასულიერო საელჩოს შენობა გადარჩენილა, კარები და ფანჯრები ზოგი დამტვრეულია და ზოგიც გაცამტვერებული. სასახლის ეკლესია განადგურებულია, ხატები ძირს გადმოყრილია. ნაწილი შკოლის ქონებისა გადარჩენილია. აქ მალე მოელიან მთელი შემადგენლობით ჩვენი სასულიერო საელჩოს დაბრუნებას.

**კოპენჰაგენი.** 2 მარტი. უკანასკნელ კვირეებში დანიას ბევრი გერმანელი მიაწყდა. მათ სასტუმროები და პანსიონები დაიქირავეს. ამ მოვლენას უსათუოთ კავშირი უნდა ქონდეს გერმანიის გაზეთებში დაბეჭდილ იმ წერილთან, რომლითაც მდიდრებს მოუწოდებენ გასულიყვნენ ნეიტრალურ ქვეყნებში და ამნაირათ ხელმოკლე მცხოვრებელთა სასარგებლოთ სურსათ-სანოვაგის გამოზოგვისთვის ხელი შეეწყოთ. მეფემ სურვილი განაცხადა კოპენჰაგენში რუსის ეკლესიას იურიდიული უფლება მიანიჭოს, რათა მღვდელმსახურთა მიერ დაწერილ მოწმობებს სამოქალაქო საქტო ძალა ჰქონდეს.

**პარიზი.** 2 მარტი. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ ხვალ გამოქვეყნებული იქნება დეკრეტი შესახებ იმ ზომებისა, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ გერმანიის ვაჭრობის წინააღმდეგ უნდა მიიღოს, დაინტერესებულ უწყებათა ანგარიშს მინისტრები პუანკარეს უდგენენ და მასთან მოაგონებენ იმ ზომებს, რომელიც გერმანიას განზრახული აქვს მიიღოს ომის წესრიგის დასარღვევათ. ამ ანგარიში ნათქვამია, რომ გერმანიის საქციელი მოკავშირეთ უფლებას აძლევს გერმანიაში საქონლის შეტანასა და გატანას ხელი შეუშალონ და ამ ნაირათ სამაგიერო გადაუხადონ. ყოველ შემთხვევაში მოკავშირენი გერმანიის ველურსა და უგვანო საქციელს ვერ მოინელებენ. ის ზომები, რომელიც მოკავშირეებმა უნდა მიიღონ, ნეიტრალურ სახელმწიფოების გემებს არავითარ საფრთხეს არ უქადის, რადგანაც ეს ზომები ჰუმანიურ პრინციპებთან იქნებიან შეფერებული. ფინანსის სამინისტროს აგენტმა რაფა-

ლოვიჩმა პარიზში „რუსეთი და ომი".ს სათაურით პატარა წიგნაკი გამოსცა, რომელშიაც აწერილია რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა. ამ წიგნაკს დიდი გასავალი ქონდა. ორი კვირის განმავლობაში 5000 ცალი გაიყიდა.

**რომი.** 3 მარტი. დღეიდან იტალიასა და ავსტრიას შორის ტელეგრაფით ფულის გაგზავნ გამოგზავნა შეწყვეტილია. გაუქმებულია აგრეთვე ფოსტის მიმოსვლა; ფოსტის გადატვირთვა საზღვარზე მოხდება.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

როგორც „რუსკ. სლოვ." გაუგია, გემს „გებენს" იმდენათ დაზიანებული აქვს გვერდი, რომ ერთ ალაგას წყალიც კი შედის. ეს ადგილი ცემენტით არის გაგლესილი, მაგრამ, როდესაც გემიდან სროლა შეიქნება, ყოველთვის სცვივა. ამნაირათ „გებენი" მთლათ უიმედო და აწი უსარგებლო გამხდარა. ამის გამო გერმანელებს გადაუწყვეტიათ შავი ზღვიდან მისი გაყვანა, რათა თავი შეაფარებინონ ერთ-ერთი სანეიტრალო ნავთსადგურში.

— —

ნიშიდან იტყობინებიან: ბულგარეთმა გადასწყვიტა არ გადმოასხმევინოს საბერძნეთს დესანტი ოსმალეთის ნაპირებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბულგარეთი კავალას ან სალონიკს დაიკავებსო.

— —

ინგლისის დესპანმა ვაშინგტონში ბრაიანი გააფრთხილა და წინადადება მისცა: გერმანიის გემი „პრინც ფრიდრიხი" ნიუიორკიდან გასვლისათანავე ჩაძირულ იქნება ინგლისის 3 და საფრანგეთის 1 კრეისერებისაგან, რომლებიც მას უთვალთვალებენო. როგორც იტყობინებიან, გემ „პრინც ფრიდრიხს" იარაღს აყრიან.

— —

ოსმალეთის მთავრობა არწმუნებს ხალხს, რომ დარდანელის აღება ყოვლად შეუძლებელიაო. ბოსფორის მხრიდან შავი ზღვის ნაპირის გასამაგრებლათ გაწვეულია ყველა მცხოვრებელი. ჩატალჯის რაიონში 100 ათასი ჯარის კაცი სდგას.

— —

„რანეე უტროს" ატყობინებიან: იტალიის პოლიტიკის გადამწყვეტი წუთი ახლოვდება. გერმანიამ წარუდგინა მას ფორმალური წინადადება, რომლის განხილვასაც იგი დასთანხმდაო.

— —

„ნოვოე ვრემიას" ლონდონიდან ატყობინებენ, „გებენის" და „ბრესლაუს" სარდლებს ბრძანება მოუვიდათ, რომ მტერს არავითარ შემთხვევაში არ დანებდენ და უკიდურეს მდგომარეობაში კი ააფეთქონ თავისი გემები. ასეთივე ბრძანება მიიღეს გერმანიის 24 გემის უფროსებმა, რომლებიც შავ ზღვაში დგანან.

— —

### გერმანიის საიდუმლო ფორტი.

გაზეთმა „მესაჟერომ" დეპუტატ ჯაკომო ფერის წერილი გამოაქვეყნა, რომელშიაც ირწმუნება, რომ კუნძულ კაპრიზე გერმანელების საიდუმლო ფორტი აღმოჩნდაო. დეპუტატმა განაცხადა, რომ მთავრობამ აუკრძალოს ეს ამბავი გამოაქვეყნოს, საერთაშორისო დამოკიდებულებათა გამოო.

— —

### დეპუტატ სკობელევის დატყვევება.

26 თებერვალს დაატყვევეს 4 თვის სასჯელის მოსახდელათ სახელმწიფოს სათათბიროს წევრი მ. ი. სკობელევი.

— —

### დარდანელზე ყუმბარების დაშენა.

ოსმალეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ადმირალი ლიმპუსი, რომელმაც ააგო დარდანელის ფორტები, ძლიერ მოხერხებულათ უნიშნებს ამ ფორტებს ყუმბარებს. თუმცა ჯერ მარტო გარეთა ფორტებია დანგრეული. გაზეთები უსაყვედურებენ ლიმპუსს არასაკადრის საქციელს სამხედრო ეთიკის მიხედვით, რომ თავის აგებულ ფორტებზე ადმირალმა შემდეგ თვითონვე მიიტანა იერიში. შტაბი აღნიშნავს აგრეთვე სმირნაზე ყუმბარების დაშენას, სადაც 60 ყუმბარაზე მეტი იქნა ნასროლი და ამბობს, რომ [illegible] დანგრეულ იქნა სმირნის გარშემო სოფლები პაპამლიკი, ედრემიდი და საბაშო. შტაბი მოუწოდებს ნეიტრალურ [illegible] მწიფოთ ჩაერიონ ამ საქმეში, [illegible] ტეების შესახებ „სტატუს კვო" [illegible] დაცულიო.

— —

ბერლინში თანდათან მტკიცდება ის აზრი, რომ საბერძნეთის ახალ პრემიერ მინისტრი ფიქრობს სამის თვით გაუშვას პარლამენტი და სახელმწიფო თვითონ განაგოს. გერმანიის პრესა ირწმუნება, რომ ხალხმა გაიგო და მიხვდა ნეიტრალობის საჭიროებას და მეფის მხარეზე სდგასო. ჯარიც უთუოთ მეფის ერთგული დარჩებაო. ბერლინის გაზეთები ავრცელებენ ხმებს, ვითომც მეფის წინააღმდეგ ათინაში შეთქმულება მოეხდინოსთ და, რომ ვიღაც ბოროტმოქმედს ატანასს უნახეს 200 ათასი დრახმი ოქრო და ფრანგულსა და ინგლისურ ენებზე მიწერმოწერა. ეს აშკარა პროვოკაციაა, რომელსაც მიზნათ აქვს დაუკარგოს ნდობა მოკავშირეებს.

— —

„რუს. სლოვ." ატყობინებენ პარიზიდან: გერმანელები თავს იყრიან იზერთან. ხმებია, 18 მარტიდან საერთო თავდასხმა დაიწყებაო.

— —

რეიხსტაგის სხდომაზე ფინანსის მინისტრმა გელფერიხმა განაცხადა, რომ ომის განსაგრძობათ საჭიროა 10 მილიარდი, რომელიც შემოდგომამდის გვეყოფაო. სოციალ-დემოკრატმა ჰააზემ წარუდგინა მთავრობას მთელი რიგი საპროგრამო ხასიათის მოთხოვნილებისა. განსაკუთრებული უფლებები უნდა დაინგრესო — განაცხადა ჰააზემ და მოითხოვა, რომ საალყო წესები არ უნდა უშლიდეს ხალხს, ითათბიროს თავის მომავალ ბედსა და უბედურობაზეო. დაბოლოს ჰააზემ მიუთითა მთავრობას, საჩქაროთ ზავის ჩამოგდებაზე. ცენტრის ლიდერი შპანი მოითხოვს, რომ ომი განაგრძონ მანამდის, ვიდრე მტერი მთლათ-ერთიანათ არ იქნება განადგურებულიო. ვიცე კანცლერმა დელბრიუკმა გაილაშქრა ჰააზეს წინააღმდეგ სამოქალაქო მშვიდობიანობის დარღვევის გამო. მან განაცხადა: ომის შემდეგ მთავრობა თავის საშინაო პოლიტიკას ძირიანათ შესცვლისო.

— —

„ბირჟ. ვედ." ატყობინებენ პარიზიდან: ეპიდემიის თავიდან ასაცილებლათ დეპუტატთა პალატაში შეტანილ იქნა კანონპროექტი ბრძოლის ველზე მტრის მოკლულ მეომრების გვამების დაწვის შესახებ. ესევე ზომა მიღებულ იქნება ფრანგებისა და მოკავშირეთა იმ მეომრების შესახებ, რომლის ვინაობაც გამორკვეული არ იქნება და იმათ შესახებაც, რომლებიც დაიხოცებიან გადამდებ სენით.

## დეპეში.

კიტა აბაშიძემ დეპუტატ კერენსკისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო დეპუტატ გელოვანის გარდაცვალების გამო:

ძმურს თანაგრძნობას გიძღვნით. გვრწამს ერთობა ორთავ დემოკრატიისა. მჭიდროდ შევკრათ კავშირი და მიზანს მივაღწევთ.

**კერენსკი.**

# ახალი ამბავი.

✦ 3 მარტს, ქუთაისში, საგუბერნიო კომიტეტთან არსებულ ქალთა წრეს, ღია ბარათების გაყიდვით მოუგროვებია 1488 მანეთი და 57 კაპეიკი, უმეტესი ნაწილი შავი ფული აღმოჩნდა. ამ ფულით ქალთა წრე კავკასიის მეომართათვის თეთრეულს ამზადებს.

✦ ქუთაისის ცეცხლისაგან დამზღვევი საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიური კრება დანიშნულია ამ თვის ბოლორიცხვებისათვის.

✦ ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა აცნობებს თავის წევრებს, რომ კვირას, 8 თებერვალს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია კრება შემდეგი კითხვების გასარჩევათ: 1) ქალ. ქუთაისში აღსამართავ აკაკის ძეგლის ფონდის შეგროვება და მეორე სათადარიგო ჯარის კაცთა ბავშვებისათვის სასადილოს მოწყობა. საკითხები, რომელიც წამოყენებულია ქუთ. ქალთა საზოგადოების გამგეობის მიერ ფრიად საყურადღებოა, იმედია ქალთა საზოგადოების

## სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის ძ—ბის“ ქუთაისში

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეთა და თესლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი

## ხ. ხრისტოდულიდის მიღებულია.

ვინც თესლს შეგვიკვეთს ათ მარტამდი არა ნაკლებ ერთი ფუთისა, რომელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი დაუჯდება 2 მ. [illegible] 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.


ყველა წევრები კრებას დაესწრება და როგორც ცეცხვა დროს, ახლაც თავის მუყაითობას გამოიჩენენ საზოგადო საქმეში.

✦ ბალახვანის სამკითხველოში ამ ჟამად ყოველ დღე 50-ამდე მკითხველი დაიარება, უმეტესი ნაწილი მკითხველებისა მოწაფეებია.

✦ გუშინ, 4 მარტს, ელექტრო თეატრ „რადიუმში“ გაიმართა საქველმოქმედო სეანსები ბალახვანში შოთა რუსთველის სახელობის უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ.

✦ სამშაბათს, 3 მარტს ქალაქის თეატრში კიტა აბაშიძის თავჯდომარეობით გაიმართა საუბარი ალ. შანშიაშვილის ახალი დრამატიული პოემის „ქალი გრძნეულის“ შესახებ. საუბარში მონაწილეობა მიიღეს: არჩილ ჯაჯანაშვილმა, დიტო უზნაძემ, შ. სანებლიძემ, გრ. ლაღიძემ, ტიტე მარგველაშვილმა, პ. იაშვილმა, აკაკი ფაღავამ, და აპ. გაბუნიამ. კამათის დასრულების შემდეგ დასკვნა გამოიტანეს, რომ „ქალი გრძნეული“ მშვენიერი ნაწარმოებია და თუ ბ. ალ. შანშიაშვილმა იმ გზაზე განაგრძო სიარული, რა გზასაც ახლა ადგია იგი უსათუოთ ჩვენს საუკეთესო მწერლებში თვალსაჩინო ადგილს დაიჭერსო.

✦ ქალაქის საბჭოს მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 9 მარტს.

✦ გუშინ, 4 მარტს, ქუთაისში ახალგაზდა ჯარის კაცთა გაწვევა უკვე დამთავრდა.

✦ როგორც თფილისიდან გვწერენ, განსვენებულ დეპუტატ გელოვანის მეუღლის, კნეინა ნინო გიორგის ასულს უკეთობა ეტყობა.

✦ ახალგაზდა მხატვარი დავით ქიქინაძე, რომელიც თავისუფალ სანიტარათ იყო წარსული ქ. ყარსში სახადით გარდაცვლილა.

### თ ე ა ტ რ ი.

გავახსენებთ მკითხველებს, რომ დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება გრიშაშვილის საღამო. პროგრამა ძლიერ საინტერესოდ არის შედგენილი. პირველ განყოფილებაში ბ. დ. უზნაძე წაიკითხავს რეფერატს „ხელოვნური შემოქმედების რაობა“. II დასის რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი დასდგამს ცოცხალ სურათს „თორნიკე ერისთავიდან“. ჩ. შარაშიძე, წაიკითხავს რეფერატს „ჩვენი მომავალი თაობა“ სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ბ. ბ. იაშვილი, პ. ჭიჭინაძე, ი. გრიშაშვილი, წაიკითხავს ჯერ დაუბეჭდავ მის ახალ ლექსებს, „ზღაპარი კოშკში“. III ქარ. მსახიობთა ამხანაგობის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედი „ადვოკატთან“, VI—ში მონაწილეობენ ბ. ბ. აკაკი ფაღავა, შ. დადიანი, ვ. ბალანჩივაძე დასასრულ ბ. კ. აბაშიძე წარმოსთქვამს სიტყვას.

**შეცდომის გასწორება.**

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნუმერში დაბეჭდილი ფელეტონიდან ამოღებულია 8 სტრიქონი:—„რასაკვირველია, თქვენ წერა-კითხვა გეცოდინებათ, უამისოთ ჩემ მაღაზიაში თქვენთვის საქმე არ იშოვებაო; ნიკოს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. საქმე ჩაიშალა. ნიკო ახლაც თავგამოდებით გეტყვისთ: ის მამა, მამა არ არის, რომელიც შვილს ორკლასიან სასწავლებელს გა-. ეს სიტყვები მოთავსებულია ჟურნალ-გაზეთების განყოფილებაში, ფელეტონის სათაურის ხაზ ზევით.

## სასიამოვნო ამბავი.

**ქალთა გიმნაზიები.**

პეტროგრადში სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა უკანასკნელ თათბირზე, რიგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა აღძრა საკითხი,—გაიხსნას ქალთა გიმნაზიები, ვაჟთა საშუალო სასწავლებლის პროგრამით. „ამ უკანასკნელ დროს— სთქვა მან—ქალმა საზოგადო ასპარეზზე თავი იჩინა, თვისი ენერგიით და საქმისადმი გატაცებითა და სიყვარულით, ამიტომ არა გვაქვს არავითარი საბუთი შევავიწროვოთ მისი ცოდნის სფერო ვაჟებთან შედარებით. მართალია, ქალთა უმრავლესობა საშუალო განათლების შემდეგ არ გამოდიან საზოგადო ასპარეზზე და ოჯახს უბრუნდებიან, მაგრამ ქალთა ის ჯგუფი, რომელიც ირჩევს დამოუკიდებელ ცხოვრებას საკუთარის შრომით საჭიროებს მეტ სწავლა განათლებას. ამიტომ საჭიროა არსებულ ქალთა გიმნაზიებთან დაარსდეს მსურველთათვის მეორე ჯურის ქალთა გიმნაზიები ვაჟთა საშუალო სასწავლებლის პროგრამით.

ასეთივე აზრი გამოსთქვეს კიევის, მოსკოვის, ორენბურგისა და კავკასიის ოლქთა მზრუნველებმაც. კრებამ სასურველად სცნო ასეთი გიმნაზიების დაარსება.

## დაბა-სოფელი.

**ძველი სენაკი.** (სენაკის მაზრა). რაც ახალი სენაკი გაჩნდა, პირველი თანდათან დაუძლურდა; სიცოცხლის ნიშნები თანდათან გაქარწყლდა და სიკვდილზე მიდგა... მაგრამ ახლა კი ძველი დანაკლისი აუნაზღაურდა დროებით მით, რომ წარსულ გიორგობისთვიდან აქ დაარსდა სამხედრო ცხენთა პუნკტი: ხუთასამდი ცხენს ამდენივე კაცით მოუყარეს თავი; და, აი ეს რამოდენიმე თვეა, ჩვენი დაბა მეტად ახმაურდა: ცხენთა ხვიხვინ-ჭიხვინთქარა-თქური და მათ მხედარ-მეჯინიბეთა კივილ-კიჟინ-სიმღერაში, რაიც დღე-ღამ განუწყვეტელია, ადამიანს წარმოუდგენენ მონგოლების მიერ კიევის დაალყვას. მაგრამ ყოველივე ამან თქვენი ჭირი წაიღოს, რომ ჩვენი, ისედაც სულშეხუთული დაბა, ყელამდი არ ივსებოდეს, და ჩვენი ცხვირის წინ ყოველი სიბინძურის გორები არ იდგმებოდეს. ჯერ კიდევ ზამთარია, მაგრამ, გათფება თუ არა ჰაერი, მთელ მიდამოს მოედება აუტანელი შმორი და ბული, რასაც შედეგათ მოჰყვება ჟამი ან ხოლერა.

აუცილებლად საჭიროა ახლავე მიაქციოს სანიტარულმა კომისიამ ყურადღება და მოახდინოს ფიცხელი განკარგულება, რომ, რაც სიბინძურეა ყოველ ღამით გაქონდესთ სოფელ-გარეთ მინდვრად.

— ერთობ ხელსაყრელი დრო დაუდგათ აქაურ მოკარტ-ნარდეთ: ვინ უწყის, საიდან გადმოცვენილ ნახევრად შიშველმშიერ ადამიანებს, რომელნიც აქ დღე-ღამის გაერთებით თითო-ორ-ორ გროშს იღებენ, იტყუილებენ ეს ვაჟბატონები სამიკიტნოების ბნელ კუნჭულებში და საბრალოებს ხმელა პურზე გადანარჩენ კაპიკებს უტიფრად სცინცლავენ. მართალია, ადგილობრივმა ბოქაულმა უკვე მიაქცია ყურადღება ამ არასასურველ მოვლენას და ორი მოკარტ-ნარდე კიდევაც გააწითლა შენიშვნითა და საყვედურით, მაგრამ მამაშვილური დარიგება და თავზე ხელის მოსმა ყველაზე ერთნაირათ არ მოქმედებს.

სამწუხაროა, რომ აქ სამკითხველო არ არსებობს. ამოდენა ხალხში ასიოდე მაინც იქნება წიგნის მცოდნე და კითხვის მოყვარული.

— ერთადერთი სასიხარულო ამბავი ახლოხან ის მოგვივიდა, რომ დაგვიმტკიცეს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება; მაგრამ, როდის გველირსება მისი გახსნა, ეს ალლახმა უწყის, რადგან ისიც ჩვენზე არის დამოკიდებული...

**გუშაგი.**

### წერილი რედაქციის მიმართ*).

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის უმახლობელეს ნომრის ფურცლებზე ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

„ახალი ივერიის“ № 25-ის ახალ ამბებში ამოვიკითხე, რომ „ქუთაისის ოლქის სასამართლოში ერთი საინტერესო საქმე სწარმოებს“. ეს საქმე გახლავთ გარდაცვალებული ჩემი მეუღლის ქეთევან თოფურიას ასულისა სიმონ იაკობის ძე თევდორაძესთან 20.000 მან. თაობაზე. სამწუხაროდ, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ომში ვიმყოფები), ერთი, რომ **ეხლა ხან მომიხდა მოხსენებულ გაზეთის ნუმრის წაკითხვა** და მეორეჯერ ჯერჯერობით არ შემეძლება ქუთაისში მოსვლა და ადრე დაბოლოვება ამ საქმისა, რომლითაც ნათლად გამოირკვევა ბ. თევდორაძის ფიზიონომია. მხოლოდ მე ამაღელვა ამ საქმეზე აღნიშნულ გაზეთში მოთავსებულმა უნიადაგო სარკასტიულმა ტენდენციამ.

ქუთაისის ოლქის სასამართლოში არა ნაკლები საყურადღებო საქმეებია, მაგრამ ამ გვარი კილოთი გამოქვეყნებას იშვიათად ვხედავთ. ცხადია, წერილის ავტორმა მოისურვა ადრევე ეუწყოს მკითხველ საზოგადოებას ამ საქმის გარემოება, რათა გაკეთდეს ნიადაგი, რომელზეც დამყარდეს რწმენა, თითქო ძიება ჩვენ და თევდორაძის შორის აღძრულ საქმეზე სიყალბეზეა აშენებული, თორემ აბა რა გასაკვირველია,—ჩემმა ძმა პლატონმა თავისი ძმის, თქვენი მორჩილი მონის—ამ წერილის ავტორისა, და ძმისწული!—ობლების (ჩემი შვილების). ინტერესი დაიცვას და თავისი რძლის ჩემი გარდაცვალებული მეუღლის, ვექსილით თევდორაძეს ფული მოსთხოვოს?

ვინც ჩვენ კარგათ გვიცნობს, ყველამ კარგათ უწყის ორასი და სამასი მანეთის „შანტაჟით“ არ ვისარგებლებთ და არც ვსაჭიროებთ. მით უფრო ამ გვარი გზით ე. ი. ყალბი ოცი ათასი მანეთის ვექსილის საშუალებით ჩვენ არავის მივადგებით და რათ დასჭირდა ახალი ამბების გამავრცელებელ ავტორს ამ გვარი გარემოებები ამოეწერა და ეუწყებია ქვეყნისთვის, ჩემთვის ჯერჯერობით გაუგებარია!...

რა გასაკვირვალია, ბ. თევდორაძისთანა პირებმა ოცი ათასიანი ვალები გემოიანად არ გადაიხადონ?.. თუ ამით ბატონ თევდორაძეს სურს (რადგან მე საბედისწერო ბრძოლის ველზე ვიმყოფები ამ ჟამად) ჯერეთ საზოგადოებას აუწყოს ამ საქმეში თავის უდანაშაულობა, რომ მას,—საწყალ გამოუცდელ ადამიანს,—სიმონ თევდორაძეს, ყალბი ვექსილებით სჩაგრავენ და მერე კი, რადგან მისი ფიქრით, ცოცხალი არ დავბრუნდები, ყოველივე გზა სცადოს, რომ მოხსენებული ვექსილი გააბათილოს.

ადრევე ყვირილი მტყუანის—ბოდვას მოასწავებს ხშირად და, რასაკვირველია, ვნახავთ „**რათ გათავდება საქმე**“...

გულწრფელი პატივისცემით პორუჩიკი **კონსტანტინე იოსების ძე ბაქრაძე.**

*) ამ წერილის დაბეჭდვა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო დაგვიანდა. **რედ.**

### ჩ ვ ე ნ ი ფ ო ს ტ ა:

ამ. მუშვანს: თქვენი ლექსი „სიზმარი“ არ დაიბეჭდება.

ვ. რამ—შვილს: თქვენი ლექსი „არ მიყვარხარ“ არ დაიბეჭდება.

ნ. დი—შვილს: თქვენი „ანგელოზი“ არ დაიბეჭდება.

აგთანდილს: თქვენი ლექსები „ნაკადული“ და მეორე არ დაიბეჭდება.


უხერხულ მდგომარეობას რომ თავი დავაღწიოთ და ხელის მომწერლები წიგნს მოკლებული არ დარჩენ ამ მიზნით საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ჯაჯუ ჯორჯიკიას 1557 დაბეჭდილ წიგნიდან დაგვრჩა მხოლოდ 400 ცალი, ამის მოთხოვნილებაც არის, მაგრამ ჯერ ჯერობით არ ვყიდით, ვინაიდან ბევრ ადგილებიდან არ გვაქვს ანგარიში მიღებული. ანგარიში არ გამოუგზავნიათ ფოთიდან მ. ესაკიას და კ. თელიას, ქიათურიდან პ. ლეჟავას, წინამძღვრიანთ კარიდან ნ. ძიძიგურს, ნაოდალევიდან ა. ფარულავას, განჯიდან ტ. ტაბუკაშვილს, ალპანიდან ს. ფრუიძეს სიღნაღიდან „კახეთის ხმის“ რედაქციას, ონიდან ილ. გოგიას, ზუგდიდიდან ის. გოგიას, აბაშიდან ა. ესაკიას, ბაქოდან ი. ელიაშვილს, თელავიდან ვ. პაპაშვილს, ყვირილიდან კიკნაველიძეს. ახალსენაკიდან კვანტალიანს და ლორთქიფანიძეს, აცანიდან, ჩიბათიდან, შუხუთიდან და ლესადან ე, ორაგველიძეს, ბელაგორიდან კ. ჯაფარიძეს, კავკავიდან ი. ლორთქიფანიძეს, სურამის, სიმონეთის, ბორჯომის, ხაშურის, ქრებალოს, მოლითის, სადმელის და სვირის სამკითხველოებს. თუ ზემოხსენებული პირნი ხელისმოწერის ცნობას არ მოგვაწვდიან 20 მარტამდი, მაშინ 400 ცალს წიგნსაც გავყიდით და შემდეგ ანგარიშიც რომ გამოგზავნონ წიგნს ვერ მიიღებენ. ფულის გამოგზავნისა და წერილების ადრესი ასეთია: ქუთაისი ქართული გიმნაზია, კონსტანტინე ჯორჯიკიას.

3—1 ერთი გამომცემელთაგანი **გიგლა მებუკე.**

გამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

**თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.**

ფასი 60 კაპ. წ.

**ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)**

**მშრალ** მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქად. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.

**ახვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

**სავაჭრო სახლი სამანუფაქტურო და გალანტერეის საქონლის**

**ფ. ე რ ქ ო მ ა ი შ ვ ი ლ ი დ ა ა—ბ ი ს**

ომიანობის გამო ქალაქ სუხუმიდან გადმოვიდა **ქუთაისში.** სავაჭრო გაიხსნა თფილისის ქუჩა და საკათედრო მოედნის კუთხეში, რიჟინაშვილის ახალ შენობაში, ქალაქის აფთიაქის პირდაპირ.

**გვაქვს მიღებული მრავალი ახალი მოდის სასეზონო საქონელი.**

საქონელი იყიდება ხელმისაწვდომ ფასებში.

პატივის ცემით: **ფ. ერქომაიშვილი და ა—ბა.** 12—11

ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი. **მოსკოვის ფირმის** ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

ამხ-ბა **„ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“-ს**

სამანიფაკტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,

ა ბ რ ე შ უ მ ე უ ლ ო ბ ა,

შ ა ლ ე უ ლ ო ბ ა,

მ ა უ დ ე უ ლ ო ბ ა

დ ა ბ ა მ ბ ე უ ლ ო ბ ა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კასტიუმებისათვის:

„ხავერდი—შიფონი“ „კრეპ—აბრეტინი“ და „კოტლე—ნოველი“ **მანტოსათვის:**

„ფ ა ი—რ ე ნ ე“ დ ა „ფ ა ი—შ ი კ.“

**აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაკტურის ნაწარმოები.**

**ფასები შეუდარებლათ** თ.


ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან · სტამბა ა. ი. ... —ქუთაისში. · რედაქტორ-გამომცემელი ... 